

# მედიაციის ძირითადი პრინციპების დაცვა ონლაინ მედიაციის დროს

ლიკა მიდელაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის*

*სამართლის სკოლის*

*კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური*

*ხარისხის*

*მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლიკა მიდელაური

20.06.2022

## აბსტრაქტი

ინტერნეტ სივრცემ განვითარებასთან ერთად მედიაციის ინსტიტუტს განვითარების ახალი პერსპექტივები გაუხსნა. რამაც გამოიწვია ვირტუალურ გარემოში დადებული გარიგებების რაოდენობის ზრდა. შესაბამისად გაჩნდა აუცილებლობა ვირტუალურ გარემოში წარმოშობილი დავების მოგვარების ეფექტური საშუალებები გამოჩენილიყო ასპარეზზე. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების ინტეგრაციამ ონლაინ გარემოში შექმნა პერსპექტივა, დავები მოგვარებულიყო უფრო სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით. დავების ონლაინ მოგვარების საშუალებები(ODR) -ის საკანონმდებლო მოწესრიგებით მსოფლიოს წამყვან კანონმდებლობებში, საფუძველი ჩაეყარა ნდობით აღჭურვილ ვირტუალურ გარემოში არსებულ დავის მოგვარების საშუალებებს, რომელთაგანაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ონლაინ მედიაცია. მედიაციის განვითარების მოცემულ ეტაპზე ონლაინ მედიაციის საზღვრები მნიშვნელოვნად გაზრდილია და მოიცავს, როგორც ვირტუალურ გარემოში წარმოშობილ დავებს ასევე პირისპირ ურთიერთობაში წარმოშობილი დავების მოგვარებას. ამასთან ნაშრომი ეხება ონლაინ მედიაციის საკანონმდებლო რეგულირებას ევროკავშირის და საქართველოს რეალობისათვის და ასაბუთებს ონლაინ მედიაციის რეგულირების საჭიროებას. მედიაციის ძირითადი პრინციპების მოქმედება ონლაინ მედიაციის პროცესში აძლევს მხარეებს შესაძლებლობას, მაქსიმალური ნდობით აღიჭურვონ პროცესის მიმართ და მარტივად შეძლონ დავის გადაწყვეტა. თუმცა არსებობს მედიაციის ძირითადი პრინციპების დაცვის სირთულეები , კონფიდენციალურობის პრინციპის მაგალითზე. ვირტუალური გარემო არ არის პერსონალური მონაცემების გაზიარებისათვის სანდო ადგილი, შესაბამისად კონფიდენციალურობის პოლიტიკა , თავად კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვასთან ერთად მნიშვნელოვანია ონლაინ მედიაციის პროცესის წარმატებისათვის. კონფიდენციალურობის პრინციპის ონლაინ მედიაციაზე გავრცელებისას წარმოშობილი პრობლემების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები კანონმდებლისათვის და მედიაციის განმახორციელებელი სუბიექტებისათვის.

## **Abstract**

Along with the development of the Internet space, the Institute of Mediation has opened up new development perspectives, which led to an increase in the number of transactions made in the virtual environment. Accordingly, there was a need for effective means of resolving disputes arising in the virtual environment to appear in the arena. Integrating alternative dispute resolution tools into the online environment has created the prospect of resolving disputes more quickly and at lower costs. With the legal regulation of online dispute resolution (ODR) in the world's leading legislation, the foundation was laid for dispute resolution in a trusted virtual environment, in which online mediation plays an important role. At the current stage of mediation development, the boundaries of online mediation have significantly increased. They include both disputes arising in a virtual environment and resolving disputes arising in face-to-face relationships. In addition, the paper deals with the legal regulation of online mediation for the reality of the European Union and Georgia and justifies the need for regulation of online mediation. Applying the basic principles of mediation in the online mediation process allows the parties to have maximum confidence in the process and to be able to resolve the dispute easily. However, there are difficulties in observing the basic principles of mediation, for example, the principle of confidentiality. The virtual environment is not a trusted place for sharing personal data, therefore a privacy policy, along with the principle of privacy itself, is important for the success of the online mediation process. Based on the analysis of the problems arising during the extension of the privacy principle to online mediation, recommendations have been developed for the legislator and entities implementing mediation.